სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №7
2016 წლის 22 ივლისი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის №5 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის №5 ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების წესში“ (www.matsne.gov.ge, 21.05.2015, 040170120.57.069.016059) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ელექტრონული საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად მიმწოდებელი ვალდებულია დარეგისტრირდეს სისტემაში. ამხანაგობის სისტემაში რეგისტრაციისთვის აუცილებელია ამხანაგობის მონაწილე ყველა მიმწოდებელი რეგისტრირებული იყოს სისტემაში.“.

2. მე-9 მუხლს დაემატოს 1^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„1^1. ამხანაგობის პროფილში დამატებით მიეთითება მისი მონაწილე მიმწოდებლების რეკვიზიტები და იტვირთება ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება (არსებობის შემთხვევაში, ატვირთვას ექვემდებარება ამ ხელშეკრულებაში შემდგომი ცვლილებებიც).“.

3. მე-11 მუხლი მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ლიკვიდაციის, გარდაცვალების ან ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე **ლევან რაზმაძე**